პროგრამის დასახელება	კოდი	პარკების, სკვერებისა და სხვა გამწვანებული ზონების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	03 03		100,0
პროგრამის დასახელება			

<b>პროგრამის განმახორციელებელი</b>	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური
<b>პროგრამის აღწერა</b>	პროგრამა ითვალისწინებს დახასჯენებელი პარკების, სვეტების და სხვა გამწვანებელი ზონების მოვლა-პატრონობას. ნარგავებით ტერიტორიების შევსება და მათი შენარჩუნება საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად გაიზარდოს მწვანე საფარი. სეზონური მცენარეებით დეკორატიულად გაფორმდება სხვადასხვა ტერიტორია. ჩატარებული იქნება სხვადასხვა სახის სამუშაოები (მწვანე საფარის გათიბვა, მწვანე ბალახის დაგროვება და გატანა, ხე-მცენარეების დეკორატიული სხვა, მწვანე ნარგავების მოწყობა, სეზონურად მოყვავილე ერთწლიანი ყვავილების დარგვა, მცენარეების ირგვლივ გამარგვლა და სხვა); მოვლა-პატრონობა განხორციელდება მთელი წლის განმავლობაში.
<b>პროგრამის მიზანი</b>	მოვლილი მწვანე ნარგავები და მწვანე საფარი

პროგრამის დასახელება	კოდი	მიუსაფარი ცხოველების გან მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებები	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	03 04		180,0
<b>პროგრამის განმახორციელებელი</b>	თელავის მუნიციპალიტეტის მერია		
<b>პროგრამის აღწერა</b>	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უმეტესწილად დარჩენილი ძაღლების თავშესაფარში დროებით გადაყვანა და შესაბამისი მომსახურების გაწევა.		
<b>პროგრამის მიზანი</b>	მოსახლეობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა.		

### 3. განათლება (კოდი 04 00)

სკოლამდელი განათლების განვითარების სისტემის სტრატეგიული მიზანია, სკოლამდელი აღზრდის სისტემა გახდეს სკოლასა და შემდგომ ცხოვრებაში წარმატების მიღწევის ინსტრუმენტი. პროგრამის ფარგლებში მოხდება სკოლამდელი განათლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა, ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ხარისხის მართვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება. ასევე, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რომელიც გულისხმობს: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელებას, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/ მეთოდოლოგიის დახვეწას, კვებით უზრუნველყოფას, აღსაზრდელო უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის განვითარებას, საბავშვო ბაგა-ბაღების მაქსიმალურ გამტარუნარიანობას და სხვა. სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის უფრო ეფექტურად წარმართვისათვის უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ინფრასტრუქტურას. განხორციელდება მისი გაუმჯობესებისათვის რეაბილიტაცია-ექსპლოატაციის ღონისძიებები. აგრეთვე, აღსაზრდელებისთვის წლის განმავლობაში ჩატარდება სხვადასხვა, როგორც სპორტული ისე კულტურული ღონისძიებები.

ათასი ლარი

დასახელება		2023 წლის გეგმა
<b>04 00</b>	<b>განათლება</b>	<b>7373.60</b>
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	7213.60
04 03	პროფესიული განათლების ხელშეწყობა	120.00
04 04	საშუალო ზოგადი განათლების ხელშეწყობის ღონისძიებები	40.00

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	04 01		7213,60
<b>პროგრამის განმახორციელებელი</b>	ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო		
<b>პროგრამის აღწერა</b>	თელავის მუნიციპალიტეტში 32 ბაგა-ბაღია. ბაღებში 124 ასაკობრივი ჯგუფია; დასაქმებულია 697 პირი (მ.შ. ქალი - 674, მამაკაცი - 23). თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მომსახურებით სარგებლობს 2674 აღსაზრდელი (მ.შ. გოგონები-1276, ვაჟები - 1398). პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ფუნქციონირების უზრუნველყოფა; საინტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა; ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს თანამშრომელთათვის სამუშაო პირობების შექმნა, მათი კვალიფიკაციის ამაღლება.		
<b>პროგრამის მიზანი</b>	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული სრულფასოვანი სააღმზრდელო და საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დაფინანსება	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	04 03 01		120,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ თელავის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი		
ქვეპროგრამის აღწერა	მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში არსებულ წრეებში გაერთიანებული მოსწავლეები იმაღლებენ განათლების დონეს. მეცადინეობები მოიცავს როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ ნაწილს. უყალიბდება ჯანსაღი ცხოვრების წესი - თავისუფალი დროის სწორედ გამოყენება. ფუნქციონირებს შემდეგი წრეები: მათემატიკის, ინგლისურის, ქართული ლიტერატურის, სატკის, დიზაინის, თექის, კულინარიის, საზვის, ჭადრაკის, სიმღერის, ფანდურის, ცეკვის, თეატრალურის, რუსული ენის და სხვა. მოსწავლეები მონაწილეობას იღებენ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის და მუნიციპალიტეტის ღონისძიებებში, აგრეთვე სხვადასხვა ფესტივალებში. პროგრამა ითვალისწინებს მასტერკლასებს, სასწავლო შემეცნებითი მიზნით ექსკურსიებსა და ლექციებს სხვადასხვა თემებზე. წრეობრივი მუშაობა გათვლილია მოსწავლე ახალგაზრდობის ინტერესებზე.		
ქვეპროგრამის მიზანი	მოსწავლეთა განათლების დონის ამაღლება და შემეცნებითი თვალსაწიერის გაფართოება.		

პროგრამის დასახელება	კოდი	საშუალო ზოგადი განათლების ხელშეწყობის ღონისძიებები	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	04 04		40,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური		
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება 2022-2023 სასწავლო წლის თელავის მუნიციპალიტეტის სკოლების წარჩინებულ კურსდამთავრებულთათვის წახალისება ფულადი საჩუქრით და სხვა.		
პროგრამის მიზანი	სკოლის წარჩინებული კურსდამთავრებულების მხარდაჭერა.		

**4. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (კოდი 05 00)**

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვასა და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს სპორტული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობასა და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა. მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით, პრიორიტეტის ფარგლებში, განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის, სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები. პრიორიტეტის მიზანია, ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა, ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის ხელშეწყობა. თელავის მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურის და ხელოვნების სფეროებში სხვადასხვა პროექტების შემუშავებას, ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული კულტურის ობიექტების, ბიბლიოთეკების, სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა, ბიბლიოთეკებში წიგნადი ფონდის განახლება, კულტურული დაწესებულებებისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, კულტურული ღონისძიების ხელშეწყობა, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების ჩატარების ხელშეწყობა, ინფრასტრუქტურის განახლება.

*ათასი ლარი*

დასახელება		2023 წლის გეგმა
<b>05 00</b>	<b>კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი</b>	<b>5116.50</b>
<b>05 01</b>	<b>სპორტის სფეროს განვითარება</b>	<b>2541.80</b>
05 01 01	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	762.60
05 01 02	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	1680.20
05 01 03	სპორტული ღონისძიებები	99.00
<b>05 02</b>	<b>კულტურის სფეროს განვითარება</b>	<b>2421.20</b>
05 02 01	კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა	2237.20
05 02 02	კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	50.00
05 02 03	კულტურული ღონისძიებები	134.00
<b>05 03</b>	<b>ახალგაზრდობის მხარდაჭერა</b>	<b>78.00</b>
05 03 01	ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება	78.00

05 04	ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	40.00
05 05	ძველთა დაცვის ღონისძიებები	35.50

პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის სფეროს განვითარება	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	05 01		2541,80
პროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძველთა დაცვის სამსახური, ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება, ა(ა)იპ - თელავის საფეხბურთო სკოლა თელავი, ა(ა)იპ თელავის სპორტულ კლუბთა გაერთიანება თელავი, ა(ა)იპ თელავის ჭიდაობის სპორტული სკოლა თელავი		
პროგრამის აღწერა	სპორტსმენებისათვის ხელშეწყობისა და შესაბამისი პირობების შექმნის მიზნით განხორციელდება სპორტის სხვადასხვა სახეობების ხელშეწყობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება, სპორტული ინვენტარის შეძენა და თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოება, სპორტსმენთა შეკრებების უზრუნველყოფა, პერსპექტიული სპორტსმენების მომზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის მომზადება, სხვადასხვა შეჯიბრებებისა და სახელობითი ტურნირების ჩატარება და სხვა.		
პროგრამის მიზანი	სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია, ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	05 01 01		762,60
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძველთა დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში იგეგმება სოფ. ნაფარულში, სოფ. ხანიორეში და ქ. თელავში, სოხუმის ქუჩაზე მინი სტადიონების მოწყობა და სხვა.		
ქვეპროგრამის მიზანი	სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	05 01 02		1680,20
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური, ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება, ა(ა)იპ - თელავის საფეხბურთო სკოლა თელავი, ა(ა)იპ თელავის სპორტულ კლუბთა გაერთიანება თელავი, ა(ა)იპ თელავის ჭიდაობის სპორტული სკოლა თელავი		
ქვეპროგრამის აღწერა	სპორტსმენებისათვის ხელშეწყობისა და შესაბამისი პირობების შექმნის მიზნით განხორციელდება სპორტის სხვადასხვა სახეობების ხელშეწყობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება, სპორტული ინვენტარის შეძენა და თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოება, სპორტსმენთა შეკრებების უზრუნველყოფა, პერსპექტიული სპორტსმენების მომზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის მომზადება, სხვადასხვა შეჯიბრებებისა და სახელობითი ტურნირების ჩატარება. ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება, ა(ა)იპ - თელავის საფეხბურთო სკოლა თელავი, ა(ა)იპ თელავის სპორტულ კლუბთა გაერთიანება თელავი, ა(ა)იპ თელავის ჭიდაობის სპორტული სკოლა თელავი.		
ქვეპროგრამის მიზანი	სპორტული ორგანიზაციების გამართული ფუნქციონირება, შეჯიბრებებში და ტურნირებში მონაწილეობა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	05 01 02 01		190,20
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება		
	ჩოგბურთის სპორტული ჯგუფების რაოდენობის გაზრდა, ადგილობრივი, ქვეყნის და საერთაშორისო ტურნირების ორგანიზება და მხარდაჭერა, წარმატებული სპორტსმენებისთვის		

<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>	სხვადასხვა რანგის ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობა, შპმ პირთა სპორტში ჩართულობა და ინტეგრირება, სასწავლო დაწესებულებებში ბავშვთა სექციების ორგანიზება სპორტული (ჩოგბურთის) ორიენტაციის განვითარების ხელშეწყობისთვის. წარმატებული სპორტსმენების აღჭურვა შესაბამისი სპორტული ინვენტარით და მათი წახალისება, მწვრთნელ-მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა, საქართველოს ასაკობრივი ნაკრები გუნდებისთვის კანდიდატების მოძიება.
<b>ქვეპროგრამის მიზანი</b>	შეუფერხებელი ფუნქციონირება, ხელსაყრელი პირობების შექმნა ჩოგბურთში რეგულარული ჩართულობისათვის; ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება

<b>ქვეპროგრამის დასახელება</b>	<b>კოდი</b>	<b>ა(ა)იპ თელავის საფეხბურთო სკოლა „თელავი“</b>	<b>2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)</b>
	<b>05 01 02 02</b>		<b>313,0</b>
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b>	ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა „თელავი“		
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის მომზადება, სხვადასხვა შეჯიბრებებისა და სახელობითი ტურნირების ჩატარება. ბავშვთა ჩართულობა სპორტში, შესაბამისი სპორტული ინვენტარით აღჭურვა, ორგანიზაციის გამართული ფუნქციონირება.		
<b>ქვეპროგრამის მიზანი</b>	შეუფერხებელი ფუნქციონირება, ორგანიზებულად ჩატარებული შეჯიბრებები და ტურნირები		

<b>ქვეპროგრამის დასახელება</b>	<b>კოდი</b>	<b>ა(ა)იპ თელავის სპორტულ კლუბთა გაერთიანება</b>	<b>2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)</b>
	<b>05 01 02 03</b>		<b>677,0</b>
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b>	ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სპორტულ კლუბთა გაერთიანება		
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>	სპორტულ კლუბთა გაერთიანება ახორციელებს წლიური საწვრთნელი პროცესის დაგეგმვას და ორგანიზებას, ფუნქციონირებს შემდეგი სპორტული სექციები: რაგბი, მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი, კალათბურთი, ხელბურთი, მხატვრული ტანვარჯიში, ფრენბურთი, ბილიარდი, სპორტული ტირი. სპორტულ კლუბთა გაერთიანებაში ჩართული მოზარდები მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა ტურნირებსა და შეჯიბრებებში, როგორც საქართველოს მასშტაბით, ასევე საზღვარგარეთ. ხდება სპორტის სახეობების მიხედვით პერსპექტიული სპორტსმენების მომზადება, ეროვნული ნაკრები გუნდების წევრობის ან წევრობის კანდიდატობისათვის, მატერიალურ-ტექნიკური და საწვრთნელი ბაზის შექმნა, მონაწილეობის მიღება სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში და სასწავლო-საწვრთნელ შეკრებებში.		
<b>ქვეპროგრამის მიზანი</b>	შეუფერხებელი ფუნქციონირება, ორგანიზებულად ჩატარებული შეჯიბრებები და ტურნირები		

<b>ქვეპროგრამის დასახელება</b>	<b>კოდი</b>	<b>ა(ა)იპ თელავის ჭიდაობის სპორტული სკოლა თელავი</b>	<b>2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)</b>
	<b>05 01 02 04</b>		<b>500,0</b>
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b>	ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ჭიდაობის სპორტული სკოლა თელავი		
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>	ჭიდაობის სპორტულ სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი სპორტული სახეობები: მკლავჭიდი, კრივი, კარატე, ძიუდო. სკოლის მიზანია გუნდების ჩამოყალიბება, მონაწილეობის მიღება სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში და სასწავლო-საწვრთნელ შეკრებებში. მასობრივი და სამოყვარულო ღონისძიების ორგანიზება.		
<b>ქვეპროგრამის მიზანი</b>	შეუფერხებელი ფუნქციონირება, ორგანიზებულად ჩატარებული შეჯიბრებები და ტურნირები, სპორტის სახეობების მიხედვით შეძენილი სპორტული უნარ-ჩვევების რეალიზება		

<b>ქვეპროგრამის დასახელება</b>	<b>კოდი</b>	<b>სპორტული ღონისძიებები</b>	<b>2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)</b>
	<b>05 01 03</b>		<b>99,0</b>
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b>	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური		
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>	ქვეპროგრამა ითვალისწინებს სპორტული ღონისძიებების ჩატარებას სპორტის სხვადასხვა სახეობებში. სპორტული და ახალგაზრდული აქტივობების მხარდაჭერას. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: სასკოლო - სპორტული ოლიმპიადა - თელავის მუნიციპალიტეტში შემავალი საჯარო სკოლის მოსწავლეები იღებენ სასკოლო ოლიმპიადაში მონაწილეობას. თამაშები ჩატარდება სპორტის სხვადასხვა სახეობებში, როგორც ვაჟებში ისე, გოგონებში; განხორციელდება გუნდების რეგისტრაცია, რის შემდეგაც შეიქმნება კონკრეტული სახეობების კალენდარი და სამოქმედო გეგმა. გამარჯვებული გუნდები		

ქვეპროგრამის აღწერა	მონაწილეობას მიიღებენ რეგიონულ სასკოლო ოლიმპიადაში. ღონისძიების მიზანია ბავშვების აქტიური ჩართულობა სპორტულ აქტივობებში და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია. შესაბამისი სპორტის სახეობების პოპულარიზაცია და სასკოლო სპორტის გააქტიურება; სპორტული ოლიმპიადა „იგზოვრე სპორტით“; Off-Road - რთული რელიეფზე მანქანების რბოლა; სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები - სამოქალაქო და ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერით და მათი დაინტერესებით, რათა აქტიურად იყვნენ ჩართულნი სპორტულ ღონისძიებებში. ქვეპროგრამით გათვალისწინებულია აგრეთვე, ქ. თელავში ჩოგბურთის საერთაშორისო ტურნირის ჩატარების თანადაფინანსება, კახეთის რეგიონში ქართული ჭიდაობის აღორძინებისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით თანადაფინანსება და სხვა.
ქვეპროგრამის მიზანი	სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია.

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის სფეროს განვითარება	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	05 02		2421,20
პროგრამის განმახორციელებელი		თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური, თელავის მუნიციპალიტეტის ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, ა(ა)იპ - სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების ნიკო სულხანიშვილის თელავის №1 სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ - სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების - ქ. თელავის N2 სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ - თელავის ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლა, ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის “საბიბლიოთეკო გაერთიანება”, ა(ა)იპ - ზაიარა არსენიშვილის სახელობის თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი, ა(ა)იპ - თელავის კულტურისა და დასვენების პარკების გაერთიანება ნადიკვარი, ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირის სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ წინანდლის სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ აკურის სამუსიკო სკოლა	
პროგრამის აღწერა		პროგრამა ითვალისწინებს ხალხური შემოქმედების, ფოლკლორული ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას. სათანადო მომზადებას და შემოქმედებითი კონცერტებში მონაწილეობას, მოსწავლეთა მზადებას და მონაწილეობას ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური და ფოლკლორული მუსიკის რესპუბლიკურ ფესტივალებსა და კონკურსებში; მოზარდებში გარე-სამყაროს მხატვრული აღქმის უნარის ჩამოყალიბებას; გამომსახველობით საშუალებათა ტექნიკის განვითარებას, მოსწავლეთა ხელოვნების საფუძვლების ზიარებას, მატერიალურ - ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების მოწყობას, რომლებშიც მონაწილეობას იღებენ ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლები. სხვადასხვა სახალხო და რელიგიური დღესასწაულების ჩატარებას.	
პროგრამის მიზანი		კულტურული დაწესებულებების ფუნქციონირების ხელშეწყობა, ხელოვნების ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეთა წარმოჩინება, მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია	

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	05 02 01		2237,20
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური, თელავის მუნიციპალიტეტის ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, ა(ა)იპ - სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების ნიკო სულხანიშვილის თელავის №1 სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ - სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების - ქ. თელავის N2 სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ - თელავის ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლა, ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის “საბიბლიოთეკო გაერთიანება”, ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი, ა(ა)იპ - თელავის კულტურისა და დასვენების პარკების გაერთიანება ნადიკვარი, ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირის სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ წინანდლის სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ აკურის სამუსიკო სკოლა	
ქვეპროგრამის აღწერა		აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ფინანსდება და ფუნქციონირებს კულტურული ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ ხალხური შემოქმედების, ფოლკლორული ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას, სათანადო მომზადებას და შემოქმედებითი კონცერტების მოწყობას, მოსწავლეთა მზადებას და მონაწილეობას ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური და ფოლკლორული მუსიკის რესპუბლიკურ ფესტივალებსა და კონკურსებში; მოზარდებში გარე-სამყაროს მხატვრული აღქმის უნარის ჩამოყალიბებას; გამომსახველობით საშუალებათა ტექნიკის განვითარებას, მოსწავლეთა ხელოვნების საფუძვლების ზიარებას. მატერიალურ - ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების მოწყობას და სხვა.	
ქვეპროგრამის მიზანი		კულტურული დაწესებულებების ფუნქციონირების ხელშეწყობა, ხელოვნების ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეთა წარმოჩინება, მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	05 02 01 01		124,5
ქვეპროგრამის		ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი	

<b>განმარჩევი</b>	ქვეპროგრამა ხელს შეუწყობს ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს ხალხური შემოქმედების შენარჩუნებასა და განვითარებაში, ფოლკლორულ ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის მოძიებასა და პოპულარიზაციაში. თელავის მუნიციპალიტეტის ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი მონაწილეობს სხვადასხვა კულტურული ღონისძიებებში. განმარჩევა შემოქმედებითი კოლექტივების არსებული სასცენო კოსტიუმების განახლება, ანსამბლის ბაზაზე ფუნქციონირებს სკოლა-სტუდია, სადაც 6 წლიდან ბავშვები შეისწავლიან ქორეოგრაფიულ საწყისებს, სამომავლოდ მოხდება მათი ჩამოყალიბება პროფესიონალ შემსრულებლად.
<b>ქვეპროგრამის მიზანი</b>	შეუფერხებელი ფუნქციონირება, ქართული საცეკვაო ხელოვნების პროპაგანდა.

<b>ქვეპროგრამის დასახელება</b>	<b>კოდი</b>	<b>ა(ა)იპ-სკოლის გარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება ნიკო სულხანიშვილის თელავის #1 სამუსიკო სკოლა</b>	<b>2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)</b>
	<b>05 02 01 02</b>		<b>129,0</b>
<b>ქვეპროგრამის განმარჩევი</b>	ა(ა)იპ-სკოლის გარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება ნიკო სულხანიშვილის თელავის #1 სამუსიკო სკოლა		
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>	თელავის #1 სამუსიკო სკოლაში სწავლობს 130 მოსწავლე შემდეგ განყოფილებებზე: საფორტეპიანო, საგუნდო, სიმებიანი (გიტარა, ვიოლინო) სოლო სიმღერა, კლასიკური ვოკალი (ესტრადა), ფოლკლორი. მოსწავლეები მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა ფესტივალ-კონკურსებში.		
<b>ქვეპროგრამის მიზანი</b>	სამუსიკო სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირება, მოსწავლეთათვის დაწყებითი და საბაზო-საორიენტაციო საფეხურის განათლების მიცემის უზრუნველყოფა		

<b>ქვეპროგრამის დასახელება</b>	<b>კოდი</b>	<b>ა(ა)იპ სკოლის გარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების თელავის #2 სამუსიკო სკოლა</b>	<b>2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)</b>
	<b>05 02 01 03</b>		<b>107,0</b>
<b>ქვეპროგრამის განმარჩევი</b>	ა(ა)იპ სკოლის გარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების თელავის #2 სამუსიკო სკოლა		
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>	სკოლაში სხვადასხვა განყოფილებებზე სწავლობს 110 მოსწავლე, შემდეგ განყოფილებებზე - ფორტეპიანო, ვიოლინო, გიტარა, ხალხური საკრავები, სიმღერა, ფოლკლორი; მონაწილეობენ ადგილობრივ და რესპუბლიკურ ფესტივალ - კონკურსებში. ხორციელდება ზრუნვა კლასიკური მუსიკის და ფოლკლორის პოპულარიზაცია და სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის.		
<b>ქვეპროგრამის მიზანი</b>	სამუსიკო სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირება, მოსწავლეთათვის დაწყებითი და საბაზო-საორიენტაციო საფეხურის განათლების მიცემის უზრუნველყოფა		

<b>ქვეპროგრამის დასახელება</b>	<b>კოდი</b>	<b>ა(ა)იპ - თელავის ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლა</b>	<b>2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)</b>
	<b>05 02 01 04</b>		<b>103,2</b>
<b>ქვეპროგრამის განმარჩევი</b>	ა(ა)იპ - თელავის ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლა		
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>	სკოლაში სწავლობს 98 მოსწავლე, ისწავლება შემდეგ საგნები: ხატვა, ფერწერა, კომპოზიცია, ძეგრწვა, ხელოვნების ისტორია, ანიმაცია. ხორციელდება სხვადასხვა სახის დასახატი საგნების მოძიება-შეგროვება, ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის, ქართული და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშების გაცნობა. მოსწავლეები მონაწილეობას იღებენ როგორც ადგილობრივ, ასევე რესპუბლიკურ და საერთაშორისო გამოფენებზე და ფესტივალებში დიდი წარმატებით. სკოლაში ხორციელდება აგრეთვე, ანიმაციის საფუძვლების შესწავლა, მარტივი კლიპების და ფილმების შექმნა. ხდება მოსწავლეებისა და მათი ნამუშევრების გაგზავნა სხვადასხვა გამოფენებზე, კონკურსებზე და ფესტივალებზე (ბათუმის ანიმაციის საერთაშორისო ფესტივალი „თოფუზი“, თბილისის „ოქროს პეპელა“ და სხვები). ტარდება მოწვეული გამოჩენილი მხატვრების მასტრეკლასები.		
<b>ქვეპროგრამის მიზანი</b>	სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირება, სახვითი ხელოვნების საფუძვლების შესწავლა. ანიმაციის სწავლების განვითარება - ხელშეწყობა.		

<b>ქვეპროგრამის დასახელება</b>	<b>კოდი</b>	<b>ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის "საბიბლიოთეკო გაერთიანება"</b>	<b>2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)</b>
	<b>05 02 01 05</b>		<b>345,5</b>
<b>ქვეპროგრამის განმარჩევი</b>	ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის "საბიბლიოთეკო გაერთიანება"		
	საბიბლიოთეკო გაერთიანების შეუფერხებელი ფუნქციონირება უზრუნველყოფს: საბიბლიოთეკო ფონდების შევსებას ახალი ლიტერატურით, აღრიცხვა-დამუშავება და საკატალოგო მეურნეობის		

<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>	წარმოებას, საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად. ფონდების ხელმისაწვდომობას, წიგნადი ფონდის დაცვის უზრუნველყოფას. საბიბლიოთეკო მანქანების სტატისტიკის წარმოებას და მონაცემთა ბაზის შექმნას. საცნობარო აპარატის სრულყოფას, ელექტრონული კატალოგის და არსებული საბარათო კატალოგის შევსებას ახალი ბარათებით. ჟურნალ-გაზეთების სტატისტიკის და თემატური კარტოტეკების შევსებას ახალი მასალებით. ელექტრონული პროგრამების და ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვას, კომპიუტერული ქსელის და ქსელური აპარატის უზრუნველყოფა. მოქალაქეთა მომსახურებას ფონდებით, კატალოგებით, კარტოტეკებით, კომპიუტერით და ინტერნეტით. მომხმარებელთა ინტერესების შესწავლა და მათი ოპერატიულად დაკმაყოფილება. საბიბლიოთეკო მუშაკთა სპეციალური სემინარების და ტრენინგების ჩატარებას.
<b>ქვეპროგრამის მიზანი</b>	მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებისათვის ასაკობრივი, პროფესიული ინტერესის, სკოლამდელი და სასკოლო ასაკის პირების ლიტერატურული ინტერესების დაკმაყოფილება.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ - ზაირა არსენიშვილის სახელობის თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	<b>05 02 01 06</b>		<b>1105,0</b>
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b>	ა(ა)იპ - ზაირა არსენიშვილის სახელობის თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი		
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>	ქვეპროგრამის ფარგლებში, თელავის კულტურის ცენტრთან არსებული მუსიკალური ანსამბლების შემოქმედებით, ხორციელდება ხალხური შემოქმედების ფოლკლორულ - ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის დაცვა და პოპულარიზაცია, ხალხური ხელოვნების მოვლა, დაცვა და განვითარება. კულტურულ - საგანმანათლებლო ღონისძიებების მოწყობა, სხვადასხვა კულტურული და ახალგაზრდული აქტივობების ორგანიზება/განხორციელება, მათ შორის ქალაქისა და ქვეყნის ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა. ქალაქის მოსახლეობისა თუ სტუმრებისათვის მრავალფეროვანი სანახაობის შეთავაზება. კულტურის ცენტრში გაერთიანებული საშემსრულებლო კოლექტივების ხელშეწყობა (კომფორტული სამუშაო გარემოს შექმნა, კოსტუმირება და სხვა); მათი შემოქმედების განვითარებისათვის კულტურის ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეთავაზება და მაქსიმალური მხარდაჭერა და სხვა.		
<b>ქვეპროგრამის მიზანი</b>	ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაცია და მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის ზრდა;		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა (ა)იპ - თელავის კულტურისა და დასვენების პარკების გაერთიანება ნადიკვარი	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	<b>05 02 01 08</b>		<b>80,0</b>
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b>	ა(ა)იპ - თელავის კულტურისა და დასვენების პარკების გაერთიანება ნადიკვარი		
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>	კულტურის და დასვენების პარკების გაერთიანება "ნადიკვარი" დამსვენებელს სთავაზობს კომფორტულ გარემოს. ბავშვების გართობას ატრაქციონებით, ხორციელდება სკვერის სეზონური დეკორატიული ყვავილების გაშენება/ განახლება, მარადმწვანე ბუჩქების და ხეხეობების მოვლა პატრონობა.		
<b>ქვეპროგრამის მიზანი</b>	კულტურისა და დასვენების პარკების გაერთიანება „ნადიკვარი“ ფუნქციონირებს შეუფერხებლად. დამსვენებლებისათვის შექმნილია კომფორტული გარემო		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირის სამუსიკო სკოლა	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	<b>05 02 01 09</b>		<b>64,0</b>
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b>	ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირის სამუსიკო სკოლა		
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>	სკოლაში სწავლობს 63 მოსწავლე სხვადასხვა განყოფილებებზე. ფუნქციონირებს საფორტეპიანო, საორგესტრო (ფლეიტა) და ხალხური საკრავების (ფანდური) განყოფილებები. მონაწილეობენ ადგილობრივ და რესპუბლიკურ ფესტივალ - კონკურსებში. ხორციელდება ზრუნვა კლასიკური მუსიკის და ფოლკლორის პოპულარიზაცია და სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის.		
<b>ქვეპროგრამის მიზანი</b>	სამუსიკო სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირება, მოსწავლეთათვის დაწყებითი და საბაზო-საორიენტაციო საფეხურის განათლების მიცემის უზრუნველყოფა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ წინანდლის სამუსიკო სკოლა	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	<b>05 02 01 10</b>		<b>119,0</b>
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b>	ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ წინანდლის სამუსიკო სკოლა		
	სკოლაში სწავლობს 104 მოსწავლე შემდეგ განყოფილებებზე - ფორტეპიანო, ვიოლინო, ხალხური საკრავები, საგუნდო, ვოკალი და სოლო სიმღერა, ფოლკლორი, გალობა; მონაწილეობენ		



<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>	ადგილობრივ და რესპუბლიკურ ფესტივალ - კონკურსებში. ხორციელდება ზრუნვა კლასიკური მუსიკის და ფოლკლორის პოპულარიზაცია და სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის. წინანდლის სამუსიკო სკოლა ემსახურება სოფ. ვანთის, სოფ. ბუშეტის, სოფ. ქვემო ხოდაშნის და სოფ. წინანდლის მოსწავლეებს.
<b>ქვეპროგრამის მიზანი</b>	სამუსიკო სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირება, მოსწავლეთათვის დაწყებითი და საბაზო-საორიენტაციო საფეხურის განათლების მიცემის უზრუნველყოფა

<b>ქვეპროგრამის დასახელება</b>	<b>კოდი</b>	<b>ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ აკურის სამუსიკო სკოლა</b>	<b>2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)</b>
	<b>05 02 01 11</b>		<b>60,0</b>
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b>	ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ აკურის სამუსიკო სკოლა		
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>	სკოლაში ხორციელდება შემდეგი სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამები: საფორტეპიანო, საორგესტრო, საესტრადო, ხალხური ტრადიციური მუსიკა, ხალხური საკრავები, ხელოვნების განყოფილებები. სკოლაში სწავლობს 54 მოსწავლე.		
<b>ქვეპროგრამის მიზანი</b>	სამუსიკო სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირება, მოსწავლეთათვის დაწყებითი და საბაზო-საორიენტაციო საფეხურის განათლების მიცემის უზრუნველყოფა		

<b>პროგრამის დასახელება</b>	<b>კოდი</b>	<b>კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა</b>	<b>2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)</b>
	<b>05 02 02</b>		<b>50,0</b>
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b>	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური		
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ელენე ახვლედიანის სახელობის თელავის სამხატვრო სკოლის რეაბილიტაციისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა და სხვა.		

<b>პროგრამის დასახელება</b>	<b>კოდი</b>	<b>კულტურული ღონისძიებები</b>	<b>2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)</b>
	<b>05 02 03</b>		<b>134,0</b>
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b>	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური		
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>	ქვეპროგრამა მოიცავს მთელი წლის განმავლობაში, სხვადასხვა კულტურული ინიციატივების ხელშეწყობას (გამოფენები, კონცერტები, ფესტივალები და სხვა). განხორციელდება თელავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ხელოვან მცირე მეწარმეთა ხელშეწყობა; თელავის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლის წარჩინებული ისტორიული მეცნიერებებით დაინტერესებული მოსწავლეების გონივრულ აფსაროსის მუზეუმ ნაკრძალში არქეოლოგიის კურსის გავლას, კურსი მოიცავს არქეოლოგიის შესახებ თეორიული ცოდნის და პრაქტიკული სამუშაოების მიღებას აგრეთვე აჭარაში მდებარე 7 მუზეუმის მონახულებას და სხვა.		
<b>ქვეპროგრამის მიზანი</b>	კულტურული ცხოვრების მხარდაჭერა და განვითარების ხელშეწყობა, კულტურულ მემკვიდრეობით ცხოვრებაში მოსახლეობის ფართო მასების ჩართულობა.		

<b>პროგრამის დასახელება</b>	<b>კოდი</b>	<b>ახალგაზრდობის მხარდაჭერა</b>	<b>2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)</b>
	<b>05 03</b>		<b>78,0</b>
<b>პროგრამის განმახორციელებელი</b>	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური		
<b>პროგრამის აღწერა</b>	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ახალგაზრდული ინიციატივების ხელშეწყობა - ღონისძიებების განხორციელება ხელს შეუწყობს გადაწყვეტილების მიღებასა და დაგეგმვის პროცესში ახალგაზრდობის რაოდენობის ზრდას, ახალგაზრდობში დამოუკიდებელი და გუნდური მუშაობის, ორგანიზების უნარების პრაქტიკის დაუფლებას; ინტელექტუალური თამაში რა? სად? როდის? - ღონისძიება ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის მასშტაბით, მოსწავლეებს, სტუდენტებსა და ახალგაზრდებს შორის რა? სად? როდის? ინტელექტუალური ტურნირების ჩატარებას; საახალწლო ახალგაზრდული შეხვედრა; ექსკურსია - სხვადასხვა შემეცნებითი ექსკურსიების, ლაშქრობების, ბანაკების მოწყობა ახალგაზრდობისათვის; სამაგიდო თამაშების ღონისძიება		
<b>პროგრამის მიზანი</b>	პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს თელავის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის განვითარებას და კეთილდღეობას, რათა მათ მოახდინონ საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზება და აქტიურად იყვნენ ჩართულები საზოგადოებრივ ცხოვრებაში.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	05 03 01		78,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ფარგლებში განხორციელდება ახალგაზრდული ინიციატივების ხელშეწყობა - ღონისძიების განხორციელება ხელს შეუწყობს გადაწყვეტილების მიღებასა და დაგეგმვის პროცესში ახალგაზრდების რაოდენობის ზრდას, ახალგაზრდებში დამოუკიდებელი და გუნდური მუშაობის, ორგანიზების უნარების პრაქტიკის დაუფლებას; ინტელექტუალური თამაში რა? სად? როდის? - ღონისძიება ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის მასშტაბით, მოსწავლეებს, სტუდენტებსა და ახალგაზრდებს შორის რა? სად? როდის? ინტელექტუალური ტურნირების ჩატარებას; საახალწლო ახალგაზრდული შეხვედრა; ექსკურსია - სხვადასხვა შემეცნებითი ექსკურსიების, ლაშქრობების, ბანაკების მოწყობა ახალგაზრდებისათვის; სამაგიდო თამაშების ღონისძიება		
ქვეპროგრამის მიზანი	პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს თელავის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების განვითარებას და კეთილდღეობას, რათა მათ მოახდინონ საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზება და აქტიურად იყვნენ ჩართულები საზოგადოებრივ ცხოვრებაში.		

პროგრამის დასახელება	კოდი	ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	05 04		40,0
პროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერია		
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა - ჟურნალ „ოლე“-ს და „საქართველოს მოამბე“-ს. აღნიშნული პროგრამის განხორციელებით ხდება თელავის მუნიციპალიტეტში მოღვაწე მწერლების და პუბლიცისტების ნაწარმოებების გამოქვეყნება, დამწყები მწერლების გაცნობა საზოგადოებისათვის. პროგრამის მიზანია თელავის მუნიციპალიტეტში არსებული მხატვრულ-პუბლიცისტური გამომცემლობის ხელშეწყობა		
პროგრამის მიზანი	თელავის მუნიციპალიტეტში არსებული მხატვრულ-პუბლიცისტური გამომცემლობის ხელშეწყობა		

პროგრამის დასახელება	კოდი	ძველთა დაცვის ღონისძიებები	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	05 05		35,5
პროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძველთა დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა	პროგრამის განხორციელება ორიენტირებულია საინფორმაციო ბაზის გამდიდრებაზე, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების/ობიექტების გამოვლენაზე, შესწავლაზე, გადარჩენასა და შენარჩუნებაზე. დაგეგმილია სოფ. კისისხევის გამოქვაბულების სადაზვერვო-არქეოლოგიური სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა, სამუშაოების განხორციელება და სხვა.		
პროგრამის მიზანი	შენარჩუნებულია მნიშვნელოვანი, ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ძეგლები. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, გაზრდილია კულტურული ძეგლების ცნობადობა.		

**5. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (კოდი 06 00)**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. თვითმმართველობა არსებული რესურსებისა და კომპეტენციის ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება. განხორციელდება მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და ფართით უზრუნველყოფა, პროგრამა ითვალისწინებს მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ათასი ლარი

დასახელება		2023 წლის გეგმა
06 00	ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფა	3280. 80
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	175. 00
06 01 01	ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ჩინოტი	175.00

<b>06 02</b>	<b>სოციალური დაცვა</b>	<b>3105.80</b>
06 02 01	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	36.00
06 02 02	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება	305.40
06 02 02 01	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლთა შშმპ შვილების სოციალური დაცვა	5.40
06 02 02 02	სოციალურად დაუცველ პირთა დახმარება	300.00
06 02 03	უმწეოთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება	1007.00
06 02 04	ვეტერანთა, გარდაცვლილ დევნილთა და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯები	10.00
06 02 05	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	230.00
06 02 06	ვეტერანთა საზოგადოება	2.00
06 02 07	მოქალაქეთა ტრანსპორტით მგზავრობის, კომუნალურ გადასახადებზე და თხევადი აირით დახმარების ღონისძიებები	123.00
06 02 08	დროებითი გადახდებით უზრუნველყოფის ღონისძიებები	100.00
06 02 09	სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებული დახმარების ღონისძიებები	65.00
06 02 10	სამედიცინო და მედიკამენტებით დახმარების ღონისძიებები	1034.00
06 02 11	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	176.00
06 02 14	1989 წლის 9 აპრილს დაზარალებულ პირთა დახმარება	2.40
06 02 15	საქართველოს წითელი ჯვარის თანადაფინანსება	15.00

პროგრამის დასახელება	კოდი	ჯანმრთელობის დაცვა	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	06 01		175,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი		
პროგრამის აღწერა	ჯანმრთელობისათვის ხელშეწყობა წარმოადგენს პროცესს, რომელიც მიმართულია ადამიანის მიერ საკუთარი ჯანმრთელობის კონტროლისა და გაუმჯობესებისაკენ. მისი მიზანია ადამიანთა ფიზიკური და ფსიქიური ჯანმრთელობის დაცვა, შენარჩუნება და აღდგენა დაავადებათა პრევენციის, მათი გავრცელების შესწავლისა და შესაბამისად კონტროლის, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობის გზით. აღნიშნულის ფარგლებში ფინანსდება ააიპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“, რომლის მიზანია თვითმმართველობის დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის ხელშეწყობა, მოსახლეობისათვის ჯანმრთელობისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა.		
პროგრამის მიზანი	მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება		

პროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	06 01 01		175,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება თელავის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სერვისების მიწოდება და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს უზრუნველყოფა, გადამდებ დაავადებათა ეპიდემიამხედველობა და კონტროლი, პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება, იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა და მასზე ანგარიშგება დადგენილი წესის მიხედვით, ანტირაბიულ საქმიანობაზე ზედამხედველობა და კონტროლი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამდები ფაუნის შესწავლა და დადგენა, „c“ ჰეპატიტის სკრინინგის განხორციელება, სამიზნე ჯგუფების ტესტირება და მონიტორინგი. სამედიცინო სტატისტიკის წარმოება და ანგარიშგება, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან ობიექტებში სანიტარულ-		

ქვეპროგრამის მიზანი		პიგიენურ მდგომარეობაზე ზედამხედველობა. მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება;	
პროგრამის დასახელება	კოდი	სოციალური დაცვა	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	06 02		3105,80
პროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერია, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური		
პროგრამის აღწერა	<p>პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისთვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებით უზრუნველყოფას, კერძოდ:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ახალშობილთა ოჯახების (სოციალურად დაუცველი) (ერთჯერადი) და მრავალშვილიანი ოჯახების (ყოველთვიური) დახმარებას;</li> <li>- სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტების დაფინანსება/თანადაფინანსებას;</li> <li>- პემოდიალიზზე მყოფი მოქალაქეების ტრანსპორტირების ხარჯებით უზრუნველყოფას;</li> <li>- სოციალურად დაუცველი ბენეფიციარების ყოველდღიურად, დღეში ერთჯერ, საკვებით უზრუნველყოფას; - ოჯახებს ვისაც აქვთ საცხოვრებლად უვარგისი ბინები ან საერთოდ არ გააჩნიათ საცხოვრებელი, ქირით უზრუნველყოფა.</li> <li>- სხვა სოციალურ ღონისძიებებს</li> </ul>		
პროგრამის მიზანი	სოციალურად დაუცველი, მოწყვლადი ჯგუფების მუნიციპალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა		

პროგრამის დასახელება	კოდი	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	06 02 01		36,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა ითვალისწინებს თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ, დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პირების, ყოველთვიური ფინანსური დახმარების გაცემას, ტრანსპორტირების ხარჯის უზრუნველსაყოფად. გასაცემი თანხის ოდენობა განისაზღვრება დასახლებების ზონირების შესაბამისად.		
ქვეპროგრამის მიზანი	დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარების ხელშეწყობა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლთა შშმ შვილების სოციალური დაცვა	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	06 02 02 01		5,4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა შ.შ.მ პირთა (18 წლამდე) შვილების დახმარება. აღნიშნულ პროგრამით თითოეულ ბავშვზე ყოველთვიურად გაიცემა თანხა 150 ლარის ოდენობით.		
ქვეპროგრამის მიზანი	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა 18 წლამდე შვილების ფინანსური დახმარებით უზრუნველყოფა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სოციალურად დაუცველ პირთა დახმარება	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	06 02 02 02		300,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში მყოფი მოქალაქეებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს, ზამთრის სეზონზე სათბობით უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით, კომუნალური გადასახადების (ბუნებრივი აირი, ელექტროენერჯია) სუბსიდირება, თითოეულ ოჯახზე 100 ლარის ოდენობით. დაფინანსება მოხდება წლის განმავლობაში ერთჯერადად.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამით მოსარგებლე კატეგორია უზრუნველყოფილია მატერიალური დახმარებით.		

კოდი	2023 წლის დაფინანსება
------	-----------------------

ქვეპროგრამის დასახელება	06 02 03	უმწეოთავის უფასო სასაბუღალსო დაფინანსება	(ათას ლარებში)
			1007,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის უმწეოთა და უპოვართა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	თელავში მუნიციპალიტეტის უმწეოთა და უპოვართა სამსახური ემსახურება სოციალურად გაჭირვებული ბენეფიციარების ყოველდღიურად, დღეში ერთჯერ, საკვებით უზრუნველყოფას. ქვეპროგრამით გათვალისწინებულია მარტოხელა ბენეფიციართა ბინაზე მომსახურებაც, რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ ახერხებენ გადაადგილებას. გარდა აღნიშნულისა, უფასო კვებით სარგებლობა შეუძლიათ შემდეგი სტატუსის მქონე ადამიანებს: შშმ სტატუსის მქონე ბავშვები და მათ ოჯახის წევრები, მრავალშვილიანი (სამი და მეტი შვილი) ოჯახები, მარტოხელა მშობლები შვილებთან ერთად. მომსახურებით ასევე ისარგებლებენ მოქალაქეები, რომლებიც მონაწილეობენ „სოციალურად დაუცველი ოჯახების იდენტიფიკაციის“ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მონაცემთა ბაზის ფორმირების სახელმწიფო პროგრამაში".		
ქვეპროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტში მცხოვრები, პროგრამით განსაზღვრული ბენეფიციარი უზრუნველყოფილი იქნება უფასო ერთჯერადი კვების მომსახურებით. ყოფითი პირობების გაუმჯობესება		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ვეტერანთა, გარდაცვლილ დევნილთა და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯები	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	06 02 04		10.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ (სამაჩაბლო-აფხაზეთი), დევნილ მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურებისთვის გაიცემა დახმარება 250 ლარის ოდენობით, ხოლო უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით- 500 ლარის ოდენობით.		
ქვეპროგრამის მიზანი	გარდაცვლილთა ოჯახების თანადგომა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	06 02 05		230,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამით ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახები რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 65 000-ს - 0-1 წლამდე ასაკის ბავშვთა ხელოვნური კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა. ქვეპროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს ორ თვეს, რომლის ფარგლებშიც თითოეულ ბავშვზე გაიცემა ყოველთვიური დაფინანსება არაუმეტეს 150 ლარის ოდენობით. ახალდაბადებულ ბავშვთა ოჯახებზე დახმარება - გაიცემა თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ახალდაბადებულ ბავშვთა ოჯახებზე წლის განმავლობაში ერთჯერადად. ყოველ სოციალურად დაუცველი ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს, პირველ ახალშობილზე დაფინანსდება არაუმეტეს 400 ლარის ოდენობით, მეორე ახალშობილზე - არაუმეტეს 500 ლარის ოდენობით, ორი ტყუპის დაბადების შემთხვევაში - არაუმეტეს 800 ლარის ოდენობით, ხოლო სამი ტყუპის დაბადების შემთხვევაში არაუმეტეს 1200 ლარის ოდენობით. მრავალშვილიანი ოჯახები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში ირიცხებიან თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სადაც 18 წლამდე 4 და მეტი ბავშვია, თითოეულ ბავშვზე ყოველთვიურად გაიცემა ფინანსური დახმარება 30 ლარის ოდენობით; კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ ბავშვიან ოჯახებზე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან ან/და ფაქტობრივად ცხოვრობენ თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, პირველადი საჭიროებებით უზრუნველყოფას წელიწადში ერთჯერადად.		
ქვეპროგრამის მიზანი	სოციალურად დაუცველთა ოჯახებში ახალშობილთა დაბადებისას ერთჯერად ფინანსურ დახმარების, მრავალშვილიანი ოჯახებზე, სადაც 18 წლამდე ოთხი და მეტი ბავშვია თითოეულ ბავშვზე ყოველთვიურ ფინანსურ დახმარების გაწევა, აგრეთვე, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახები რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 65 000- 0-1 წლამდე ასაკის ბავშვთა ხელოვნური კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა. კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ვეტერანთა საზოგადოება	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	06 02 06		2,0
ქვეპროგრამის			

განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერია
ქვეპროგრამის აღწერა	ვეტერანთა საზოგადოებრივი გაერთიანებების საქმიანობის ხელშეწყობა.
ქვეპროგრამის მიზანი	ვეტერანთა თანადგომა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მოქალაქეთა ტრანსპორტით მგზავრობის, კომუნალურ გადასახადებზე და თხევადი აირით დახმარების ღონისძიებები	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	06 02 07		123,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური		
